

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2011 წლის 15 აპრილს სხდომის

ოქმი №11

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 36 წევრიდან ესწრებოდა 35. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკოძე. სხდომას ესწრებოდა სტუ-ს რექტორი პროფ. არჩილ ფრანგიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2011 წლის 21 მარტს დამტკიცებული სტუ-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

რექტორი: მოგესალმებით, მინდა წარმოგიდგინოთ საკითხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 21 მარტს დამტკიცებული სტუ-ს წესდების შესახებ.

წესდებაში შესულია შემდეგი სახის ცვლილებები, რაზეც ქვემოთ დეტალურად მოგახსენებთ:

წესდების 2-ე მუხლის მე-3 პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „3. უნივერსიტეტის გერბი წარმოადგენს ფარს, რომლის არქიტექტონიკაში ძირითადი ადგილი უჭირავს ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ, ძველი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნის II ნახევრით დათარიღებულ, ქართული საინჟინრო აზროვნების მხატვრული სამსხმელო წარმოების ნიმუშს – ბრინჯაოს არწივის გამოსახულებას. ფარს ზემოთ გვირგვინად ადგას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აბრევიატურა „სტუ“, რომელშიც ჩაწულია ფარზე განფენილი ბაფთა უნივერსიტეტის დევიზით „ცოდნა ძალაა“ ლათინურ ენაზე “Scientia potestas est“. ფარზე, არწივის ქვემოთ, განთავსებულია უნივერსიტეტის დასახელება ქართულ და ლათინურ ენებზე. შესაბამისად: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ და “GEORGIAE UNIVERSITAS RERUM TECHNICA“. ფარზე კომპოზიციას ამთავრებს უნივერსიტეტის დაარსების წელი „1922“ და ზეთისხილის ტოტეები, როგორც სიმბოლო სიბრძნისა და განახლებისა.

წესდების მე-2 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3¹ პუნქტი: „3¹. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დროშა არის მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი, გვერდების თანაფარდობით 2:3, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა მუქი წითელი ფერის ჯვარი; ჯვრის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავების გადაკვეთაზე მოთავსებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გერბი. დროშის სიმბოლურ-აზრობრივ გადაწყვეტას საფუძვლად უდევს საქართველოს სახელმწიფო დროშის ძირითადი კომპოზიცია. სტუ-ს დროშაზე ნაჩვენები ყველა ფერი, ჰერალდიკის კანონების მიხედვით, შეიცავს გარკვეულ მნიშვნელობას: **თეთრი** – უმანკობას, უბიწოებას, სიწმინდეს, სიბრძნეს; **ყვითელი (ოქროსფერი)** – განათლებას, კეთილდღეობას, სიმდიდრეს და ღიდებას; **მუქი წითელი** – სიმამაცეს, ვაჟკაცობას, სამართლიანობას და სიყვარულს.

წესდების მე-2 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3² პუნქტი: „3². უნივერსიტეტის ჰიმნი, მსგავსად გერბისა, შინაარსით სიმბოლურია, ის პატივს მიაგებს უმაღლესი სკოლის სახელოვან წარსულს, მის დღევანდელ ზნეობრივ-ეთიკურ იდეალებს და ორიენტირებულია მომავლის ღირებულებებზე”.

რედაქციით: „დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის ან/და კვალიფიკაციის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში“;

გთხოვთ, წინამდებარე დადგენილება განხილულ იქნეს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ საბოლოო დასკვნისათვის, რის შემდეგაც იგი დასამტკიცებლად წარედგინება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

სპიკერი: თუ არ გაქვთ შეკითხვები რექტორთან, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო მ ა მ ა რ ა ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 აპრილს №11 სხდომაზე სტუ-ს რექტორმა პროფ. არჩილ ფრანგიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის დადგენილება №425.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №425 დადგენილება სტუ-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ში თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესების და შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შესახებ, მომხსენებელი იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ქ-ნი ნინო ხოლუაშვილი.

ქ-ნი ნინო ხოლუაშვილი: მოგესალმებით, მინდა წარმოგიდგინოთ თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში მოქმედი წესები და შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

1. წინამდებარე წესები შემუშავებულია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ადგენს თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან დაკავშირებით სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდეგში – უნივერსიტეტი) მოქმედ წესებს და განსაზღვრავს შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში აკრძალულია თამბაქოს მოწვევა.

3. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, მასწავლებლები) და სტუდენტები ვალდებული არიან დაემორჩილონ უნივერსიტეტში თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან დაკავშირებით დადგენილ წესებს.

4. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის მიერ წინამდებარე წესების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს:

ა) გაფრთხილება;

ბ) ხელფასის დაქვითვა 15 ლარის ოდენობით – გაფრთხილებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში;

გ) ხელფასის დაქვითვა 35 ლარის ოდენობით – ხელფასის 15 ლარის ოდენობით დაქვითვიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში;

დ) ხელფასის დაქვითვა 75 ლარის ოდენობით – ხელფასის 35 ლარის ოდენობით დაქვითვიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში;

ე) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა – ხელფასის 75 ლარის ოდენობით დაქვითვიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში;

5. უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ წინამდებარე წესების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს:

ა) გაფრთხილება;

ბ) ჯარიმა 5 ლარის ოდენობით – გაფრთხილებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში;

გ) ჯარიმა 10 ლარის ოდენობით – 5 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში;

დ) ჯარიმა 50 ლარის ოდენობით – 10 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში;

ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა – 50 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში;

6. თანხის ამოღება განხორციელდება სტუდენტის სწავლის საფასურიდან დაქვითვის გზით.

7. დამრღვევის მიერ აღნიშნული წესების დარღვევის გამო შესაბამისი ორგანოს მხრიდან უნივერსიტეტის მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენების შემთხვევაში, დამრღვევს დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რაც დაიქვითება მისი შრომის ანაზღაურებიდან ან სწავლის საფასურიდან ან სხვა ქონებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. წინამდებარე წესების შესრულების უზრუნველყოფაზე კონტროლს ახორციელებენ უნივერსიტეტის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების, ასევე მართვის ორგანოების ხელმძღვანელი პირების მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები და დაცვის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც, თავის მხრივ, დარღვევის შემთხვევის გამოვლენისას, მოქმედებენ უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 აპრილს №11 სხდომაზე სტუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა ქნმა ნინო ხოლუაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ში თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესების და შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

- 1. დამტკიცდეს სტუ-ში თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესები და წესების დარღვევის შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (იხ. დანართი).*
- 2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სტუდენტურ თვითმმართველობასა და დაცვის სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მიღებული წესების განუხრელი დაცვა და დამრღვევთა მიმართ გაატაროს დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.*

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრუქტურაში ლოჯისტიკის დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №418 – მომხსენებელი პროფ. ოთარ გელაშვილი.

პროფ. ოთარ გელაშვილი: როგორც იცით, სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს აქვს ძალიან დიდი გამოცდილება. მოგეხსენებათ ასევე მთავრობის დღევანდელი კურსი, რომელიც მთლიანად ლოჯისტიკისკენაა მიმართული, ამიტომ გადავწყვიტეთ ფაკულტეტზე შევქმნათ ახალი დეპარტამენტი.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ყველაფერ ამას სჭირდება ფინანსები, ამიტომ აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, თუ საიდან ხდება საჭირო თანხის მიღება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 აპრილს №11 სხდომაზე პროფ. ოთარ გელაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრუქტურაში ლოჯისტიკის დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 23 მარტის დადგენილება №418.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილება №418 სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრუქტურაში ლოჯისტიკის დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აღნიშნული დეპარტამენტის ხელმძღვანელისთვის ხელფასის

დანამატი დაინიშნოს მიმდინარე წლის სექტემბრიდან და ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სტრუქტურაში მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №418 – მომხსენებელი პროფ. ზურაბ გედენიძე.

პროფ. ზურაბ გედენიძე: წარმოგიდგინოთ საკითხს სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სტრუქტურაში მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების დეპარტამენტის შექმნის შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო მ ე მ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 აპრილს №11 სხდომაზე პროფ. ზურაბ გედენიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სტრუქტურაში მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 23 მარტის დადგენილება №418.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილება №418 სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სტრუქტურაში მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების დეპარტამენტის შექმნის შესახებ. აღნიშნული დეპარტამენტის ხელმძღვანელისთვის ხელფასის დანამატი დაინიშნოს მიმდინარე წლის სექტემბრიდან და ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დებულების და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილებები №414 და №423 – მომხსენებელი პროფ. ანზორ აბშილავა.

პროფ. ანზორ აბშილავა: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დებულების და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მესუთე საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ მ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 აპრილს №11 სხდომაზე პროფ. ანზორ აბშილავამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დებულების და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილებები №414 (2011 წლის 7 მარტი) და №423 (2011 წლის 23 მარტი).

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილებები №414 და №423 სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დებულების და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ინსტიტუტის საშტატო განრიგი ასახულ იქნეს სტუ-ს საშტატო განრიგში და შრომის ანაზღაურება განხორციელდეს პირველი მარტის მდგომარეობით.

მეექვსე საკითხი სტუ-ს სარგებლობაში გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის შესახებ დღის წესრიგიდან მოიხსნა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – სტუ-ს „ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №420 – მომხს. პროფ. ზაზა მიქაძე.

პროფ. ზაზა მიქაძე: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს „ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 აპრილს №11 სხდომაზე პროფ. ზაზა მიქაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 23 მარტის დადგენილება №420.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილება №420 სტუ-ს „ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მერვე საკითხი – „ეფექტური მიკროორგანიზმების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №415 – მომხსენებელი პროფ. ზაზა მიქაძე.

პროფ. ზაზა მიქაძე: წარმოგიდგინო საკითხს „ეფექტური მიკროორგანიზმების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მერვე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 აპრილს №11 სხდომაზე პროფ. ზაზა მიქაძემ წარმოადგინა საკითხი „ეფექტური მიკროორგანიზმების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და

მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 7 მარტის დადგენილება №415.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილება №415 „ეფექტური მიკროორგანიზმების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა მისი დებულება.

სპიკერი: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ში ინტეგრირებული ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისათვის გადასაცემი თანხების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №426.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინტეგრირებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, მეცნიერებისა და საინჟინრო-ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარების მიზნით, გადაეცეთ სტუ-ს საგრანტო ბიუჯეტის ნაწილი, რომელიც შეადგენს 2010, 2011 წლის ბიუჯეტებს შორის არსებული სხვაობის 10%-ს შესაბამისად:

№	ინსტიტუტების დასახელება	ბიუჯეტი 10% -იან კლებამდე	2011წ დამტკიცებული ბიუჯეტი	სხვაობა
1	2	3	4	5
1	ვ. ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი	438 700	394 830	43 870
2	ნ. მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი	181 300	163 170	18 130
3	ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი	277 200	249 480	27 720
4	კვების მრეწველობის ინსტიტუტი	96 200	86 580	9 620
5	მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი	20 600	18 540	2 060
6	წყალთა მეურნობის ინსტიტუტი	168 700	151 830	16 870
7	ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი	82 600	74 340	8 260
8	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი	239 400	215 460	23 940
9	ინსტიტუტი „ტალდა“	43 700	39 330	4 370
10	საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი	86 300	77 670	8 630
11	ინსტიტუტი „ტექინფორმი“	99100	89190	9910
12	ბიოტექნოლოგიის ცენტრი	55400	49860	5540

ჯამი:	1789200	1610280	178920
-------	---------	---------	--------

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 აპრილს №11 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ში ინტეგრირებული ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისათვის გადასაცემი თანხების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის დადგენილება №426.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინტეგრირებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, მეცნიერებისა და საინჟინრო-ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარების მიზნით, გადაეცეს სტუ-ს საგრანტო ბიუჯეტის ნაწილი, რომელიც შეადგენს 2010/2011 წლის ბიუჯეტებს შორის არსებული სხვაობის 10%-ს შესაბამისად:

№	ინსტიტუტების დასახელება	ბიუჯეტი 10% -იან კლებამდე	2011წ დამტკიცებული ბიუჯეტი	სხვაობა
1	2	3	4	5
1	ვ. ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი	438 700	394 830	43 870
2	ნ. მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი	181 300	163 170	18 130
3	ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი	277 200	249 480	27 720
4	კვების მრეწველობის ინსტიტუტი	96 200	86 580	9 620
5	მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი	20 600	18 540	2 060
6	წყალთა მეურნობის ინსტიტუტი	168 700	151 830	16 870
7	ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი	82 600	74 340	8 260
8	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი	239 400	215 460	23 940
9	ინსტიტუტი „ტალღა“	43 700	39 330	4 370
10	საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი	86 300	77 670	8 630

11	ინსტიტუტი „ტექნიფორმი“	99100	89190	9910
12	ბიოტექნოლოგიის ცენტრი	55400	49860	5540
	ჯამი:	1789200	1610280	178920

სპიკერი: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის №427 დადგენილებას – კერძოდ, ძვირადღირებული ტექნიკის შეძენის მიზნით, გაიზარდოს სტუ-ს შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება, 88 436 ლარით არაფინანსური აქტივების მუხლიდან.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ მ ე ტ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 აპრილს №11 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა სტუ-ს შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებული საკითხი. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის დადგენილება №427.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს დადგენილება №427, კერძოდ, გაიზარდოს სტუ-ს შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება, ძვირადღირებული ტექნიკის შეძენის მიზნით, 88 436 ლარით არაფინანსური აქტივების მუხლიდან.

სპიკერი: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გრაფაში, სუბსიდიების მუხლიდან 4 900 ლარი გადატანილ იქნეს დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის, ძირითადი საშუალებების ტექნიკურ ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 აპრილს №11 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა საკითხი სტუ-ს ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გრაფაში, სუბსიდიების მუხლიდან 4 900 ლარი გადატანილ იქნეს დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის, ძირითადი საშუალებების ტექნიკურ ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტში.

სპიკერი: წარმოგიდგინო საკითხს სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ, კერძოდ: კვების მრეწველობის ინსტიტუტის საშტატო განრიგში მოხდეს შემდეგი ცვლილებები:

1. „კვების პროდუქტებისა (პურის და პურ-პროდუქტების, ხორცისა და რძის ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ხილ-ბოსტნეულისა და ხორცის კონსერვების, მცენარეული ზეთების, ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების კვების პროდუქტების) და საკვები დანამატების (არომატიზატორები, საღებავები და ა.შ.) ტექნოლოგიების კვლევის“ განყოფილებაში – მთავარი მეცნიერთანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული შემცირდეს 0,5 საშტატო ერთეულით, ხელფასით 112 ლარი თვეში, ნაცვლად 225 ლარისა.

2. „კვების პროდუქტებისა (პურის და პურ-პროდუქტების, ხორცისა და რძის ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ხილ-ბოსტნეულისა და ხორცის კონსერვების, მცენარეული ზეთების, ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების კვების პროდუქტების) და საკვები დანამატების (არომატიზატორები, საღებავები და ა.შ.) უსაფრთხოების კვლევის“ განყოფილებაში – მთავარი მეცნიერთანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული შემცირდეს 0,5 საშტატო ერთეულით, ხელფასით 112 ლარი თვეში, ნაცვლად 225 ლარისა.

3. ამ შემცირების შედეგად, ინსტიტუტის დირექტორის 1 საშტატო ერთეული განისაზღვროს ხელფასით – 743 ლარი თვეში, ნაცვლად 630 ლარისა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის 1 საშტატო ერთეული განისაზღვროს ხელფასით – 493 ლარი თვეში, ნაცვლად 380 ლარისა;

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, კვების მრეწველობის ინსტიტუტის საშტატო განრიგი განისაზღვრება 41 საშტატო ერთეულით და სახელფასო ფონდი არ შეიცვლება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №11

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 15 აპრილს №11 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა ოშესახებ, კერძოდ:

– კვების მრეწველობის ინსტიტუტის საშტატო განრიგში მოხდეს შემდეგი ცვლილებები:

1. „კვების პროდუქტებისა (პურის და პურ-პროდუქტების, ხორცისა და რძის ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ხილ-ბოსტნეულისა და ხორცის კონსერვების, მცენარეული ზეთების, ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების კვების პროდუქტების) და საკვები დანამატების (არომატიზატორები, საღებავები და ა.შ.) ტექნოლოგიების კვლევის“ განყოფილებაში – მთავარი მეცნიერთანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული შემცირდეს 0,5 საშტატო ერთეულით, ხელფასით 112 ლარი თვეში, ნაცვლად 225 ლარისა.

2. „კვების პროდუქტებისა (პურის და პურ-პროდუქტების, ხორცისა და რძის ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ხილ-ბოსტნეულისა და ხორცის კონსერვების, მცენარეული ზეთების, ბავშვთა კვებისა და სპეციალური დანიშნულების კვების პროდუქტების) და საკვები დანამატების (არომატიზატორები, საღებავები და ა.შ.) უსაფრთხოების კვლევის“ განყოფილებაში – მთავარი მეცნიერთანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული შემცირდეს 0,5 საშტატო ერთეულით, ხელფასით 112 ლარი თვეში, ნაცვლად 225 ლარისა.

3. ამ შემცირების შედეგად, ინსტიტუტის დირექტორის – 1 საშტატო ერთეული განისაზღვროს ხელფასით – 743 ლარი თვეში, ნაცვლად 630 ლარისა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის – 1 საშტატო ერთეული განისაზღვროს ხელფასით – 493 ლარი თვეში, ნაცვლად 380 ლარისა;

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, კვების მრეწველობის ინსტიტუტის საშტატო განრიგი განისაზღვრება – 41 საშტატო ერთეულით და სახელფასო ფონდი არ შეიცვლება.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახიკოძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახიკიძე

სხდომის მდივანი,
სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი